

ქართველური ენა-ისტორიის საკითხები
(ლაზეტი)

KARTVELIAN LANGUAGE –
HISTORICAL ISSUES (LAZETI)

რევაზ შეროზია

შოთა მესხიას ზუგდიდის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ზუგდიდი. საქართველო

Revaz Sherozia

Shota Meskhia State Teaching University of Zugdidi
Zugdidi. Georgia

ABSTRACT

The study of the history of Georgia and the Kartvelian language without taking into account Lazeti (as well as Tao-Klarjeti, Samtskhe-Javakheti, Tusheti, Khevsureti, Kartli, Svaneti, etc.) is impossible as such inquiry would not deliver correct and comprehensive findings.

The review of outstanding works of historians and linguists reveals that systemic, structural and lexical data of Megrelian, Laz and Svan are barely examined while exploring the history of the Kartvelian language. It is not uncommon to find conclusions of historians incomplete or incorrect when the issues of language remain overlooked. It is imperative to continue the comparative study of the data of the old Georgian ecclesiastical and literary language and word formation and derivation of forms in Megrelian, Laz and Svan, though initiated by Arn. Chikobava, the endeavor subsequently discontinued.

For example, the plural suffix -es in Megrelian and Laz has been fully maintained to the present day, while the change has occurred in the Georgian literary language as well as in other dialects. A binary system of demonstratives (tena “this” - tina “that”) in Megrelian and Laz is an archaism; cf. a trinomial system in literary Georgian (es (this), eg (that (close to 2p), is (that (near 3 p); besides, Megrelian and Laz maintain a one-stem feature, while a two-stem feature occurs in literary Georgian which is a secondary finding; Megrelian and Laz still have archaic forms such as čkimda towards/for me“ („for me“), ḳočišot “towards/for a man” (“for a man”) and so on.

Compatibility of modern Megrelian and Laz and the Old Kartvelian text data, on the one hand, and the preservation of lost or modified elements of the literary language in Megrelian and Laz, on the other hand, provide the opportunity to argue that Eastern and Western Georgia have never been disunited in terms of language, nationality, culture and religion in the course of the entire history of Georgia. Such unity was not disrupted even during the simultaneous reign of two and even three kings.

საკვანძო სიტყვები: ქართველური ენა, მეგრული მეტყველება, ლაზური მეტყველება, არქაიზმები.

Keywords: Kartvelian language, Megrelian dialect, Laz dialect, archaisms.

საქართველოს ისტორიისა და ქართველური ენის კვლევა ლაზეთის (ისევე როგორც ტაო-კლარჯეთის, სამცხე-ჯავახეთის, თუშ-ხევსურეთის, ქართლის, სვანეთის...) გარეშე შეუძლებელია, – სწორი და სრული შედეგის მომცემი ვერ იქნება.

თვალს თუ გადავაფლავებთ ისტორიკოსთა და ენათმეცნიერთა დიდ, თვალსაჩინო ნამუშევრებს, გამოჩნდება მსჯელობა-დასკვნების დამაზიანებელი ტენდენცია: ქართველური ენის ისტორიის კვლევისას მეგრულ-ლაზურ-სვანურის სისტემურ-სტრუქტურული და ლექსიკური მონაცემების ნაკლებად გათვალისწინება. ისტორიკოსთა დასკვნები, არაიშვიათად, ნაკლებია ან მცდარია, როცა ყურადღება არ ექცევა ენობრივ საკითხებს. აუცილებელია ძველი ქართველური საეკლესიო-სალიტერატურო ენის მონაცემთა და მეგრულ-ლაზურ, სვანურ მეტყველებათა ფორმანარმოებისა და სიტყვანარმოების შედარებითი კვლევის გავრცელება, – ის, რაც დაინყო არნ. ჩიქობავამ და შემდეგ კი შეწყდა.

გარდამავლობის ნიშნებთან დაკავშირებით არნ. ჩიქობავა მიუთითებდა, რომ „-ეს ჭანურსა და მეგრულში აორისტში ყველა ზმნას აქვს მრავლობითის მესამე პირში (ასე იყო ეს ძველ ქართულშიც)“ (ჩიქობავა 1936: 106).

ამ მონაცემების მიხედვით მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთებაა შესაძლებელი: ეს სტრუქტურული ელემენტი მეგრულ-ლაზურმა დღემდე შეინარჩუნა, ხოლო ცვლილება სამწერლო ენაში განხორციელდა. შდრ.: ხოლმეობითის ფორმები ხევსურულ მეტყველებას შემორჩა, სალიტერატურომ დაკარგა. ორივე შემთხვევაში, სალიტერატუროსთან მიმართებით, არქაიზმთან გვაქვს საქმე.

ასეთსავე არქაიზმს წარმოადგენს მეგრულ-ლაზურის ჩვენებითობის სისტემა. აღმოსავლურ ქართველურ მეტყველებებსა და სალიტერატურო ენაში ეს სისტემა, როგორც ცნობილია, სამწერლოა (ეს, ეგ, ის), – დაემატა მეორე პირისადმი მიმართულება. მეგრულ-ლაზურში სისტემა ორწევრა დარჩა (თენა, თინა), – ამჟამად შეინიშნება მესამე წევრის დამატების მცდელობა (თენა, ეთინა, თინა). ამოსავალ ვითარებას, ცხადია, მეგრულ-ლაზური გვიჩვენებს (პირველი, მოუბარი პირისკენ და მისგან იქით მიმართულებების ჩვენება). გარდა ამისა, ენათმეცნიერთა ყურადღების მიღმა დარჩა ის ფაქტი, რომ მესამე პირისა და ჩვენებით ნაცვალსახელოთა ფორმაცვალებისას მეგრულ-ლაზური ინარჩუნებს ერთფუძიანობას, ხოლო სალიტერატურო ენაში, როგორც ცნობილია, ორფუძიანობა გვაქვს, რაც, ცხადია, მეორეული მონაცემია.

ლაზურში მოთხრობის ნიშნად -ქ-ს გვერდით მისი ამოსავალი მუღერი გ-ც დასტურდება გარკვეულ პოზიციებში: ბეეგ-ნა ენ, ენუმესს... (ასათ. 147, 102). ცხადია, ეს გ ვერ დაშორდება ფგი ნაცვალსახელის გ-ს. ამასთან დაკავშირებით საინტერესოდ გამოიყურება ლაზურის ეგ ზმნისართი ექ-ის ნაცვლად: მუსტავა, ეგ მუ იქიფ? (კარტ. 151, 42). ეგ ნა მეხთას, უნუმერს... (კარტ. 175, 71). ასეთივე ჩანს სვანურის თავ / თავდ. საფიქრებელია, რომ მუღერი ვარიანტი ამოსავალი უნდა იყოს თუშინიერი ქ-სთვის.

საენათმეცნიერო ნაშრომებიდან ცნობილია ჩემდა, ძმისად... ფორმების შესახებ. ის, რაც ნორმაა „ვეფხისტყაოსნისა“ და მანამდელი საეკლესიო-სალიტერატურო ენისთვის, ცოცხალია დღევანდელი მეგრულ-ლაზურისა და ხევსურულიათვისაც: ონჯლორე ვა-რენ-ი სქანდა? (ყიფშ. 11, 9); ჩქიმდა ქუმაშქვი! კაცისად; კოჩიშოთ... და ა.შ.

ლაზეთის სინამდვილისათვის განსაკუთრებულია ოხვამე, რომელიც ი. ყიფშიძის მიერ საუკუნის წინ არის დადასტურებული. საგულისხმოა, რომ ამ დროისათვის ლაზურ ოჯახში ჯერ კიდევ შენახული ჰქონდათ „ისა ფელამბერიშ სურეთი, მარდამ ანაშ სურეთი... ჰაჰაშ დოლოქუნეფე... ბაირალი დო დაჩხირიში გებლუში დო ბულურიშ ოჭუში ტაქიში“ (ყიფშ. 6, 23).

თანამედროვე მეგრულ-ლაზური მეტყველებისა და ძველი ქართველური ტექსტების მონაცემთა თანხვედრა, ერთი მხრივ, და სალიტერატურო ენაში გაუჩინარებული ან შეცვლილი ელემენტების შემონახვა იმავე მეგრულ-ლაზურში, მეორე მხრივ, საფუძველს იძლევა ვთქვათ: საქართველოს მთელი ხილული ისტორიის მანძილზე ენობრივ-ეროვნული, კულტურული და რელიგიური თვალსაზრისით აღმოსავლეთ-დასავლეთი საქართველო არასოდეს ყოფილა გაორებული, ერთმანეთისგან გათიშული. თვით ორ და სამმეფობის დროსაც ეს ერთიანობა არ დარღვეულა.

დამონშებული ლიტერატურა

ასათიანი 1974: ასათიანი ი., ჭანური (ლაზური) ტექსტები. თბილისი, 1974.

კარტოზია 1971: კარტოზია გ., ლაზური ტექსტები. თბილისი, 1971.

ყიფშიძე 1939: ყიფშიძე ი., ჭანური ტექსტები. ტფილისი, 1939.

ჩიქობავა 1936: ჩიქობავა არნ., ჭანურის გრამატიკული ანალიზი. ტფილისი, 1936.